თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

აკადემიური პოზიციების დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგ მიმართულებებზე:

1.1 სისხლის სამართალი - ასოცირებული პროფესორი (1 ვაკანსია)

1.2 **თანამედროვე ხელოვნების ისტორია - პროფესორი (1 ვაკანსია)**

1.3 გრაფიკული და ბეჭდური დიზაინი - პროფესორი (1 ვაკანსია)

1.4 არქიტექტურა და დიზაინი - ასისტენტ პროფესორი (1 ვაკანსია)

1.5 მათემატიკა - პროფესორი (1 ვაკანსია)

1.6 ფიზიკა - პროფესორი (1 ვაკანსია)

1.7 ეკონომიკა - ასოცირებული პროფესორი (2 ვაკანსია)

1.8 თურქული ენა - პროფესორი (1 ვაკანსია); ასოცირებული პროფესორი (1 ვაკანსია)

1.9 ბიზნესის ადმინისტრირება - ასოცირებული პროფესორი (1 ვაკანსია);

1.10 ფინანსები - პროფესორი (1 ვაკანსია); ასოცირებული პროფესორი (1 ვაკანსია);

1.11 მენეჯმენტი - პროფესორი (1 ვაკანსია);

1.12 ლიტერატურა და ხელოვნება - ასოცირებული პროფესორი (1 ვაკანსია);

1.13 პროგრამირება - პროფესორი (1 ვაკანსია);

1.14 ქართული ენა და ქართველები - პროფესორი (1 ვაკანსია)

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **სისხლის სამართლის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და პედაგოგიური/პრაქტიკული ან/და კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება; ასევე

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორცილება ისეთ საგნებში როგორიცაა: სისხლის სამართლის პროცესი; სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი.
- საკონსულტაციო საქმიანობის გამოცდილება;
- პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება;
- შესაბამის სფეროში საერთაშორისო სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში მუშაობის და კვლევების მიმართულებით მუშაობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა.

2.2. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **თანამედროვე ხელოვნების ისტორიის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, ან მაგისტრის ხარისხი და პედაგოგიური ან/და სამეცნიერო საქმიანობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება, ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება ისეთ საგნებში როგორიცაა: თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუციები და ინფრასტრუქტურა; შესავალი თანამედროვე ხელოვნების ისტორიაში;
- ინტერდისციპლინური და საერთაშორისო საგამოფენო ცოდნა და გამოცდილება;
- კურატორული საქმიანობის განხორციელება სამუზეუმო და არაკომერციულ სახელოვნებო სივრცეებში;
- საჯარო ლექციების ჩატარების გამოცდილება;
- ხელოვანებთან მუშაობის გამოცდილება;
- გამოფენების კვლევის, ორგანიზებისა და დოკუმენტაციის შექმნის გამოცდილება;
- გამოქვეყნებული სტატიები და ნაშრომები;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლებით და პროფესიული გამოცდილებით.

2.3. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **გრაფიკული და ბეჭდური დიზაინის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი და პედაგოგიური ან/და სამეცნიერო მუშაობის არანაკლებ 7 წლის გამოცდილება და ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება ისეთ საგნებში როგორიცაა: ბეჭდური მედია; სადიპლომო პროექტის მომზადება;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;
- საერთაშორისო გამოცდილება ციფრულ და ბეჭდურ დიზაინში; ტიპოგრაფიაში; დიზაინის სტრატეგიასა და დიზაინურ აზროვნებაში;
- ინტერდისციპლინური და საერთაშორისო საგამოფენო ცოდნა და გამოცდილება;
- კანდიდატს მოეთხოვება დიზაინის გამოცდილების დემონსტრირებისთვის პორტფოლიოს წარმოდგენა, რომელიც უნდა შეიცავდეს ბეჭდური და ციფრული მედიის ნამუშევრების მაგალითებს;

- უპირატესობა მიენიჭება უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებში მიღებულ განათლებას და მუშაობის გამოცდილებას.

2.4. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **არქიტექტურა და დიზაინის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, ან მაგისტრის ხარისხი და პედაგოგიური, პრაქტიკული ან/და კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება; ასევე

- შესაბამის სფეროში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა;
- მულტი-დისციპლინარული ცოდნა და გამოცდილება;
- განხორციელებული პროექტები;
- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორცილება ისეთ საგნებში როგორიცაა: დიზაინის პროგრამები; არქიტექტურული პროექტირების სტუდია.
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა.

2.5. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **მათემატიკის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი მათემატიკაში და პედაგოგიური/პრაქტიკული/კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება; ასევე

- საერთაშორისო სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში მუშაობის და კვლევების მიმართულებით თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება;
- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება ისეთ საგნებში როგორიცაა: კალკულუსი; მონაცემთა ანალიზი, აზროვნების მათემატიკური წესი; გამოყენებითი სტატისტიკა; რაოდენობრივი კვლევის მეთოდები;
- საბაკალავრო/სამაგისტრო პროექტების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა.

2.6. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ფიზიკის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი თეორიულ ფიზიკაში და პედაგოგიური/პრაქტიკული/კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 15 წლის გამოცდილება; ასევე

- საერთაშორისო სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- კვლევითი საქმიანობის გამოცდილება;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და პუბლიკაციები აღნიშნული მიმართულებით;
- უცხოეთის წამყვან სამეცნიერო და სასწავლო ორგანიზაციებთან/ინსტიტუციებთან კოლაბორაციის გამოცდილება;

- ინგლისური ენის ცოდნა.
- უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნას და გამცდილებას;

2.7. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ეკონომიკის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი და პედაგოგიური/პრაქტიკული ან/და კვლევითი მუშაობის არანაკლებ 15 წლის გამოცდილება; ასევე

- უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელში ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება ისეთი საგნებში, როგორიცაა: ეკონომიკა; მაკროეკონომიკა; მიკროეკონომიკა; ეკონომიკის საფუძვლები; კორპორაციული ფინანსები; საერთაშორისო ეკონომიკა;
- პრაქტიკული ან/და საკონსულტაციო საქმიანობის გამოცდილება;
- სამეცნიერო ნაშრომები;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროექტების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა.
- უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნას და გამცდილებას;

2.8 აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **თურქული ენის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და პედაგოგიური/პრაქტიკული ან/და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება; ასევე

- უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელში ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება თურქული ენისა და ბიზნეს თურქული ენის მიმართულებით;
- მთარგმნელობითი საქმიანობა;
- გამოქვეყნებული პუბლიკაციები და სამეცნიერო ნაშრომები;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროექტების ხელმძღვანელობის გამოცდილება;

2.9. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ბიზნესის ადმინისტრირების** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი და პედაგოგიური/პრაქტიკული ან/და კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება; ასევე

- სტრატეგიული მენეჯმენტის, მარკეტინგული სტრატეგიების და ბიზნესის მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება არანაკლებ 10 წლის;

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ისეთ საგნებში, როგორიცაა: ბიზნესი; ბინზესის საწყისები; ბიზნესი მოქმედებაში; სტრატეგიული მენეჯმენტი; ბიზნესის თამაში: MARKSTRAT.
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროექტების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- საჯარო ლექციების, ტრენინგებისა და დისკუსიების გამოცდილება ანტერპრენერშიფზე, კონკურენციაზე, სტრატეგიების ფორმირებებზე, პირველადი შესვლის უპირატესობებზე;
- ბაზრის კვლევისა და ანალიზის მიმართულებით საკონსულტაციო საქმიანობის გამოცდილება;
- განხორციელებული ბიზნეს პროექტები;
- ფინანსების კუთხით სტარტ-აპების საკონსულტაციო გამოცდილება;
- ბიზნეს გეგმის შექმნის პროცესისა და ქართული ბიზნეს ქეისების შექმნის გამოცდილება ანტერპრენერშიფის, ეკონომიკის, ფინანსების, მენეჯმენტის მიმართულებით;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლებით და პროფესიული გამოცდილებით.

2.10. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ფინანსების** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი და პედაგოგიური/პრაქტიკული საქმიანობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება; ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანკლებ 15 წლის ისეთ საგნებში როგორიცაა: ფინანსური ანალიზი; ბიზნესის შეფასება; კომპანიის ღირებულების მართვა; დერივატივები;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროექტების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- საკონსულტაციო საქმიანობის გამოცდილება;
- საინვესტიციო საბანკო საქმის და ფონდების მოზიდვის მიმართულებით საქმიანობის გამოცდილება;
- კომპანიების საინვესტიციო პორტფელის მართვის გამოცდილება;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლებით და პროფესიული გამოცდილებით.

2.11. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ფინანსების** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული

ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი და პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება; ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანკლებ 10 წლის ისეთ საგნებში როგორიცაა: კორპორაციული ფინანსები; ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები; საინვესტიციო პორტფელის მართვა; ქცევითი ეკონომიკა; ეკონომიკა;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროექტების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- საერთაშორისო კომპანიებში საკონსულტაციო საქმიანობის გამოცდილება;
- პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;

2.12. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **მენეჯმენტის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი და პედაგოგიური ან/და სამეცნიერო საქმიანობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება; ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანკლებ 20 წლის ისეთ საგნებში როგორიცაა: მენეჯმენტის საფუძვლები; მენეჯმენტის შეცდომები; ბიზნესის მოდელები; გადაწყვეტილების მიღების მეთოდები; ფინანსური მათემატიკა;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროექტების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- პროექტების თეორიულ და პრაქტიკულ შეფასებაში საქმიანობის გამოცდილება;
- თანამედროვე საბუღალტრო აღრიცხვის მიმართულებით თეორიული და პრაქტიკული ცოდნა;
- ინგლისური ენის ცოდნა;

2.13. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ლიტერატურა და ხელოვნება** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი და პედაგოგიური/სამეცნიერო საქმიანობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება; ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანკლებ 10 წლის ისეთ საგნებში როგორიცაა: ლიტერატურა და ხელოვნება; Magni Libri;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროექტების ხელმძღვანელობის გამოცდილება;

- გამოქვეყნებული პუბლიკაციები და ნაშრომები;
- ლიტერატურული კონკურსების ორგანიზებისა და ჟიურის წევრობის გამოცდილება;
- ლიტერატურულ ლექსიკონზე მუშაობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა.

2.14. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **პროგრამირების** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი გამოყენით მათემატიკასა და ფიზიკაში და პედაგოგიური/პრაქტიკული ან/და სამეცნიერო საქმიანობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება; ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანკლებ 10 წლის პროგრამირების მეთოდოლოგიაში;
- საბაკალავრო პროექტების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- პროგრამული უზრუნველყოფის დიზაინის მიმართულებით საინჟინრო საქმიანობის გამოცდილება;
- ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით საქმიანობის გამოცდილება;
- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება აღნიშნული მიმართულებით;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;

2.15. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ქართული ენა და ქართველები** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: ფილოლოგის დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო/პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 15 წლის გამოცდილება; ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანკლებ 15 წლის ;
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროექტების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- გამოქვეყნებული პუბლიკაციები და სამეცნიერო ნაშრომები;
- განხორციელებული სამეცნიერო პროექტები;
- საგრანტო პროექტებში საქმიანობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა.

2.16. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და

პუბლიკაციებით, განხორციელებული პროექტებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2026 წლის 3 აგვისტოდან - 2026 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით.**
4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

4.1. ბიოგრაფია (CV);

4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);

4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;

4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;

4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - **https://form.jotform.com/261834418269465**
6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება საჭიროების შემთხვევაში საჩვენებელი ლექცია ან გასაუბრება.
7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2026 წლის 8 აგვისტოდან - 13 აგვისტოს ჩათვლით**, კანდიდატების საბოლოო შერჩევის ვადად განისაზღვრება **2026 წლის 20 აგვისტო.**
8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.
9. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@freeuni.edu.ge